ნიტრას კონსტანტინე ფილოსოფოსის უნივერსიტეტის პროფესორების

Erasmus+ მობილობა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში

2019 წლის 10-14 ივნისს ნიტრას კონსტანტინე ფილოსოფოსის უნივერსიტეტის (სლოვაკეთი) განათლების ფაკულტეტის ვიცე დეკანი, პროფ. ივანა ტურეკოვა და ამავე ფაკულტეტის Erasmus+ მობილობის კოორდინატორი, ასოც. პროფ. პეტერ ბრეშკა, ადმინისტრაციული პერსონალის მობილობის ფარგლებში, იმყოფებოდნენ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში.

პროექტის კოორდინატორი სლოვაკეთის უნივერსიტეტის პროფესორების სტუ-ში მობილობა ითვალისწინებდა საერთაშორისო ურთიერთობების გაღმავების მიზნით ევროპული გამოცდილების გაზიარებას როგორც კვლევითი, ისე ტექნოლოგიების განვითარების მიმართულებით.

მათ სამუშაო შეხვედრები გამართეს სტუს-ს რექტორის მოადგილესთან, პროფ. ზურაბ გასიტაშვილთან ორმხრივი სამომავლო ურთიერთობების თაობაზე.

ასევე, ესტუმრნენ სტუ-ს საერთაშორისო ურთიერთობების და სტანდარტების სამსახურს, დაათვალიერეს ჟიული შარტავას სახელობის ინფორმაციული ტექნოლოგიების ლაბორატორიები, შეხვდენენ ინფორმატიკისა და მართვის

სისტემების ფაკულტეტის პროფესორებსა და იმ სტუდენტებს, რომლებმაც წარმატებით გაიარეს ტექნიკურ უნივერსიტეტში გამოცხადებული კონკურსი და შემდეგ სემესტრში Erasmus+ მობილობით სწავლას გააგრძელებენ ნიტრას კონსტანტინე ფილოსოფოსის უნივერსიტეტში.

შეხვედრების შედეგად დაისახა ორ უნივერსიტეტს შორის შემდგომი თანამშრომლობის გზები, გამოიკვეთა საერთო სამეცნიერო მიმართულებები, შემდგომში ერთობლივი კვლევების განხორციელების მიზნით.